ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ქ. ონი

N 833
16/04/2019

833-02-4-201904161603

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ"კანონის განხორციელების პროცესში ქ. ონის ადმინისტრაციულ ერთეულში ლევან შერაზადიშვილის უფლებამოსილ პირად განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ვ" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 აგვისტოს N153-ე ბრძანების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" კანონის განხორციელების პროცესში ქ. ონის ადმინისტრაციულ ერთეულში უფლებამოსილ პირად განისაზღვროს ლევან შერაზადიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქ. ონის ადმინისტრაციულ ერთეულში:

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი
.